წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. შაბათი, 8 აგვისტო 1915 წ. № 64

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 67.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

---

ნინა გაბრიელის ასული ივანიცკისა შვილებითურთ: აპოლონი, ტარასი, ვლადიმერი, ნიკოლოზი, სოფიო და რაფიელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 9 მარიამობისთვეს კახის წმიდა გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილი იქნება პანაშვიდი პირველის შვილისშვილის და დანარჩენების დისწულის გერმანიის ფრონტზე გმირულად დაღუპულ პოდპორუჩიკ

**ნიკოლოზი დავითის ძის გულისაშვილის**

სულის მოსახსენებლად.

---

## ხარფუხის კლუბი

(საზაფხულო სადგომი მიხეილის ქუჩა № 131)

**შაბათს, 8 აგვისტოს 1915 წ.**

უ ფ ა ს ო

საოჯახო **საღამო-მეჯლისი**

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

**მშვენიერი ელენეს მაძიებელნი**

2 მოქმედებიანი კომედია სიმღერებით და კუპლეტებით ავ. ცაგარლისა.

აკომპანიატორი პ. ფალიაშვილი.

---

პირველხარისხოვანი

## სასადილო

## „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

---

**იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი**

## „კაფე პარიზი“

**გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,**

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

---

**ქ. გ ო რ შ ი**

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

---

**გადაწერას საწერ მანქანის**

**საშვალებით და საწერ მანქანაზე**

**მუშაობის სწავლებას**

**ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს**

**ი. თ. გვათუას კანტორა**

**ვერის დაღმართი № 1**

ტელეფონი 17—05

---

**კბილის ექიმი**

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

# ომის დღიური

## მიმოხილვა

4 და 5 აგვისტოს ბრძოლის ველზე ფრიად საინტერესო ამბავი მოხდა. 4 აგვისტოს გერმანეთის ძლიერი ფლოტი მოადგა რიგის ყურეს და სცადა შემოსვლა, მაგრამ წინ გადაეღობა რუსის ფლოტი და ქსელი ნაღმებისა. ერთსა და იმავე დროს გერმანეთის ფლოტი რუსის ფლოტსაც ებრძოდა და ნაღმების ქსელის გარღვევასაც ლამობდა. 5 აგვისტოს ბრძოლის შემდეგ რუსის ფლოტი წამოსულა მეორე პოზიციებისკენ. თუ მოპირდაპირის ფლოტმა მოახერხა ყურეში შემოსვლა, ცხადია მისი განგრახვა: იგი ეცდება საზღვაო ციხე უსტ-დვინსკის მიდამოებში დესანტი გადმოსხას და ამით გააცხოველოს რიგის მიდამოებში თავისი მოქმედება.

რიგიდან კოვნომდე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა. 4 აგვისტოს გერმანელებმა თერთმეტი დღის მეტად მკაცრი და გამაგრებულ ბრძოლის შემდეგ ხელთ იგდეს ციხე კოვნოს დასავლეთით [illegible] სამხრეთით მდებარე სიმაგრენი, ე. ი. მდინარე ნემანის მარცხენა ნაპირი, ხოლო 5 აგვისტოს ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზედაც გადავიდნენ, აიღეს ქალაქი, გასცდნენ მას და ცდილობენ წინ წაწევას, რათა გაუსწორდნენ პონევეჟის მიმართულებით წინ წამოწეულ სხვა რაზმებს. ციხე კოვნო გზებს უკრავდა ვილნო-დვინსკისკენ მომავალ მოპირდაპირეს, რომელიც სულ იმის ცდაში იყო და არის, რომ ბრესტ-ბელოსტოკ-გროდნოს ძლიერ ხაზს ჩრდილოეთიდან მოუაროს და მოვლისა და გზების მოჭრის მუქარით დაახევინოს რუსის ჯარს ბრესტ-ბელოსტოკის რაიონიდან, ამიტომ ყველაზე ადრე კოვნოს აღება გავლენას იქონიებს ბრესტ-ბელოსტოკზე, რომლის დატოვებისა ანუ დაცვის საკითხი უნდა გადასწყდეს ვილნო-დვინსკის მიმართულებით.

ამავე დროს გერმანეთის ჯარები აწვებიან ბელოსტოკის რაიონს ჩრდილოეთიდან. გარდა ამისა, ისინი დაშინებით ცდილობენ ბელსკის მიმართულებით გავიდნენ ბრესტ-ბელოსტოკის რკინის გზაზე, აქ გასჭრან რუსის ჯარი და გაჰყონ იგი ორად, მაგრამ საფიქრებელია რომ რუსის ჯარი არ მოისურვებს სახიფათო ბრძოლაში ჩარევას და ადვილად დააღწევს თავს იმ მეორე ხაფანგს, რომელსაც ჰინდენბურგი უგებს მას ბრესტ-ბელოსტოკის გარშემო.

ნოვოგეორგიევსკში გერმანელებს მოუხერხებიათ თავის მძლავრ ზარბაზნებით ციხის მოშორებით გატანილ სიმაგრეთა დანგრევა, თვით ციხეს აწვება ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან და ცდილობს მეციხოვნე ჯარი შუაგულ ციხეში შერეკოს. აქაც მოპირდაპირე ჩქარობს ამ ციხის აღებას, რადგან იგი, როგორც ეტყობა გერმანელთა დიდ ჯარს აბანდებს, რომელიც მათთვის მეტად საჭიროა სხვა ადგილას.

მ. ბ—ლი.

## დეპეშები

**თბილისი**, 5 აგვისტო. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 3 აგვისტოს ზღვის პირა რაიონში ჩვეულებრივი სროლა სწარმოებდა. ოლთის მიმართულებით მზვერავ რაზმების შეტაკება ჰხდებოდა. პასინის მხარეში ოსმალების წინსვლა შეაჩერეს. ყარადერბენტის სამხრეთით მირზა-ალის მთის სიმაღლეები წავართვით ოსმალებს. ეფრატის მიმართულებით ჩვენმა რაზმმა დაიპყრო პურხუსის პოზიციები და უკუაგდო ოსმალოს ჯარი. დღე-ღამის განმავლობაში ტყვედ წამოვიყვანეთ ერთი ბატალიონის უფროსი, 4 ოფიცერი და 300 ჯარისკაცი; წავართვით საქონელი და ურმები თოფებით და ხელით სასროლ ყუმბარებით. დანარჩენს ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

6 აგვისტო. 4 აგვისტოს ოლთის მიმართულებით ჩვენმა მზვერავებმა ოსმალეთის მზვერავნი ჴოროხს გაღმა გარეკეს. პასინის მხარეში ოსმალონი მთელი დღე საარტილერიო ბრძოლას აწარმოებდნენ, საღამოთი კი იერიშით მოვიდნენ ტარხოჯის პოზიციამდე. ჩვენ ჯერ ახლო მოვუშვით, შემდეგ კი ძლიერი ცეცხლი გავაჩინეთ და ხიშტებით ვიფრინეთ მოწინაამდეგენი. ხოშმუგანის რაიონში მოვიგერიეთ ოსმალების ყველა იერიშები. სხვა ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი**, 5 აგვისტო. ოფიციალი. გერმანელები შეეცადნენ რიგის ყურეში შესავალი ნაღმებისაგან გაეწმინდათ, მაგრამ რუსებმა ხელი შეუშალეს. დვინის მიმართულებით ღამით 4 აგვისტოს და შემდეგ დღის განმავლობაში გერმანელები სცდილობდნენ იერიშზე გადასულიყვნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს. კოვნოსთან თერთმეტი დღის განმავლობის საშინელ ბრძოლის შემდეგ გერმანელები ნემანის მარცხენა ნაპირზე განმტკიცდნენ, თუმცა ეს განმტკიცება აუნაზღაურებელ ზარალად დაუჯდათ მათ. მდ. ესის დასავლეთით გერმანელები სცდილობენ ჯარები გადასტყორცნონ მეორე ნაპირზე. მათ მოახერხეს ფეხის მოკიდება, თუმცა ზოგიერთა ადგილი ჯერ კიდევ რუსების ხელშია. ნემანის მარჯვენა ნაპირზე ყველა სიმაგრეები რუსებს უკავიათ. ნარევის ზემოთა ნაწილზე, აგრეთვე მისსა და ბუგის შუა 3—4 აგვ. ბრძოლა ხან ერთის საკეთილოდ მიდიოდა, ხან მეორესი. განსაკუთრებით სასტიკობას იჩენდნენ გერმანელები ბელოსტოკისა და ბელსკის დასავლეთით. ბუგის რაიონში სედლეც-ჩურუშხას რკინის გზაზე, რუსებმა მოიგერეს გერმანელთა იერიშები და ბოლოს კონტრ-იერიშებით შეუტიეს და რამდენიმე ტყვე წამოიყვანეს, აგრეთვე დავლად დარჩათ ტყვიისმფრქვეველები. ნოვოგეორგიევსკის რაიონში გერმანელები სასტიკ იერიშებს განაგრძობენ ჩრდილო-აღმოსავლეთით სიმაგრეებზე, მათი მთავარი ძალები აწვებიან რკინის გზას, რომელიც ბლავასკენ მიდის. ზემო ბუგზე, ზოლოტოი ლიპაზე და დნესტრზე მდგომარეობა უცვლელია.

6 აგვისტო. ოფიციალი. 5 აგვ. რუსის გემები, რომელნიც რიგის ყურის შესავალს იცავდნენ, იძულებული გახდნენ უკანა პოზიციაზე გადასულიყვნენ, რადგანაც გერმანელთა ფლოტი გაცილებით ძლიერი იყო. ხმელეთზე მთელის ფრონტის გასწვრივ რიგიდან მოყოლებული იანოვამდე მდ. ვისლაზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. კოვნოში გერმანელები აფართოვებენ მოქმედებას, მათ დაიჭირეს ქალაქი, შემდეგ ქალაქის იქითაც გადმოვიდნენ, რომ მდ. ნემანისა და ვისლის ყელი დაეჭირათ. ოსოვეცთან 5 აგვ. და შემდეგ დღის განმავლობაში გერმანელთა იერიშებს მარჯვედ იგერიებდნენ. ოსოვეციდან ბუგის ფრონტის გაყოლებით ბრძოლა არ შეწყვეტილა. განსაკუთრებით მკაცრი იერიშები დაიწყეს 4—5 აგვ. ქვემო ბობრზე გამაგრებულ რუსთა პოზიციებზე, ბულსკის მიმართულებით, ჩერნოვიც-ვლოდავის რკინის გზის გადასაჭრელად. გალიციაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ნოვოგეორგიევსკთან გერმანელებმა სასტიკი იერიში მიიტანეს ვისლა-ნარევის მარჯვენა ნაპირის სიმაგრეებზე. ბრძოლამ მეტად მძაფრი და შეუპოვარი ხასიათი მიიღო. მიუხედავად ამისა, გერმანელებმა უკიდურეს წერტილამდინ გააძლიერეს საარტილერიო ცეცხლი, რის გამოც ვკროსა და ნარევის შუა მდებარე ციხეებზე ჩააჴშეს რუსების არტილერიის ცეცხლი და თვით ჯარებიც აიძულეს 4 აგვ. მდ. ვკრის მარჯვენა ნაპირზე გადასულიყვნენ. ამ გარემოებამ ნება მისცა რუსებს ჩრდილოეთით ვკრისა და ვისლის შუა განმტკიცებულიყვნენ და ზემოთაც გაფართოვებინათ მოქმედება.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**გერმანული პრესა და ზავი.**

რუსეთის გაზეთებში დაბეჭდილმა ამბავმა, ვითომ გერმანეთს რუსეთთან ზავის ჩამოგდება ჰსურდეს, დიდი პროტესტები გამოიწვია გერმანულ გაზეთებში: შეუძლებელია გერმანეთს ასეთი წინადადებით მიემართა რუსეთისათვისაო. მაგრამ ამავე დროს ამ საპროტესტო წერილებში ცხადად გამოსჭვივის ზავის სურვილი. „ბერლინელ ტაგებლატ“-ი პირდაპირ უარჰყოფს რუსეთის გაზეთების ცნობას და დასძენს: გერმანეთი, რასაკვირველია, უარს არ იტყვის მოლაპარაკებაზედ, თუ ვინმე მას მიჰმართავს მისაღებ ზავის პირობებით. მაგრამ გერმანეთი თვითონ მოიცდის იმ დრომდე სანამ მისი მტრები თვითონვე მოითხოვენ ზავს.

„ფოსიშე ცაიტუნგ“-ის სიტყვით რუსეთმა იმიტომ მოიგონა ის ხმები, რომ დაამშვიდოს საზოგადოება, რომელიც ძალიან დაფიქრიანებულია რუსეთის ჯარის პოლონეთში დამარცხებით.

„დოიტშე ტაგესცაიტუნგ“-ში რევენტლოვი სწერს: ზავის შესახებ ამ ხმების გავრცელების ახსნა ძალიან ადვილია; გერმანეთში ნამეტანი ბევრს ლაპარაკობენ ზავის შესახებ. ამიტომ ჩვენს მოწინააღმდეგეთ ჰგონიათ, ვითომ ჩვენ ძალთანა გვწადდეს ომის ეხლავე დამთავრება. გერმანეთის მიზანია მტრის სავსებით დამარცხება. ზავის ჩამოგდება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც გერმანეთი ომით მოიპოვებს მომავალ ომისაგან ამაცილებელ მტკიცე გარანტიებს.

**რუმინიის პური და გერმანეთის პრესა.**

გერმანული პრესა უკმაყოფილებას გამოსთქვამს პურისა და ნავთის შემოტანას აუტანელ პირობების გამო, სიმოლიც რუმინიის მთავრობამ შექმნა. „Yossische Zeitunq“ აცხადებს, რომ რუმინიის საქციელს და ყოფაქცევას არამეგობრული განწყობილება ჰქვიანო. ბოლოს გაზეთი ემუქრება რუმინიას და სწერს, რომ გერმანეთი იძულებული იქნება პურის შემოსატანად უფრო სხვა საშვალებებს მიმართოსო.

---

ინგლისურ გაზეთების ცნობით, გერმანეთი და ავსტრია-უნგრეთი დიდძალ ჯარს აგროვებენ ბოსნია და ჰერცოგო

ვინიაში. ამ ჯარის რიცხვი 300 ათას კაცს უდრის. ამ ჯარს დავალებული აქვს სერბია გადალახონ და შეიჭრან სალონიკში და შეუერთდენ ოსმალთა ჯარს.

**სოციალ-დემოკრატიის ფრაქციის შეკითხვა კოსტრომის გაფიცვის გამო.**

სახელმწიფო სათათბიროში სოციალ.-დემოკ. ფრაქციამ შეკითხვა შეიტანა კოსტრომაში მომხდარ გაფიცვის შესახებ. ამ შეკითხვიდან სჩანს, რომ 5 ივლისს კოსტრომის ზოგიერთ ქარხნების მუშები გაფიცულან. გაფიცვაში ჩარეულა პოლიცია და შეტაკებაც კი მომხდარა მუშებსა და პოლიციის შორის. შეტაკების დროს ქარხანაში მოუკლავთ 4 კაცი და დაუჭრიათ 9, ხოლო ქუჩებში მოუკლავთ 12 მუშა და დაუჭრიათ 45.

## აჭარიდან

ერთი ჭირი მარგებალიაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს ჩვენზედ ითქმის. თუმცა ოსმალოს და ჩეტნიკების შემოსევა აჭარაში ჭირზედ ჭირი და აუწერელი უბედურება იყო, მაგრამ ამ უბედურებამ აატირა და ააკვნესა ჩვენი ერთგული მშობელი დედა—საქართველო, რომელმაც აამოძრავა და გამოგვადევნა თვისი ძენი და ასულნი ჩვენდა, მის წიაღისაგან გამოქცეულს დაკარგვის, დაღუპვის და სრულიად განადგურების გზაზედ მიმავალის შვილების დასაბრუნებლად. ძმა ძმისთვისა, შავ დღისთვისაო.— სწორედ ძმურის სიყვარულით ჩაგვიკრეს ისევ წიაღში, დაგვაბრუნეს დაღუპვისაგან, მშიერები დაგვაპურეს, აღგვიდგინეს ჩვენს დამწუხრებულს გულში ნამდვილი ჩვენი დიდებულ სამშობლოს საქართველოის სული ქრისტიან ქართველებმა. დღეს აჭარაში ქალი და კაცი, მოხუცი და ახალ-გაზრდა ყველა მადლიერნი, აღფრთოვანებულნი, ჩვენი მოძმე ქართველ ქრისტიანების მიერ ძმობისათვის და ასეთ განუსაზღვრელ უხვ ნივთიერ და ზნეობრივ დახმარებისათვის, მზათა ვართ შესაფერად გამოვეხმაუროთ მათ და ძმური ფიცი დავსდვათ, რომ ჩვენ საუკუნოდ ვიქმნებით განუყრელნი ჭირსა და ლხინში მათთან, როგორც ერთხორცნი და ერთსულნი ტყუპი ძმები უმაღლესად კეთილშობილის მოყვარულის დედისა—საქართველოსი. მხოლოდ ვერ მოგვიხერხებია ეს ჩვენი გულის პასუხი გამოვსთქვათ მთელ აჭარლების პირით და საქმით განხორციელებას ეხლავე შევუდგეთ.

დღეს აჭარლები ყველა სულიერ სიკვდილისაგან აღვსდექით, სამასი წლით გაყინულნი და გაქვავებულნი გავთბით და ყველას ქართველის ერის სულის მოძრაობა გვეტყობა. თუ წინად მოლების ჩაგონებით ქართულად წერა-კითხვა ცოდვად მიაჩნდათ, დღეს ყველა აჭარელი ცდილობს სასწავლებლებში ქართული შემოიღონ და მათ შვილებს ასწავლონ; თუ წინად დიდის თხოვნა მუდარით ქართულ წიგნებს და გაზეთებ ვაძლევდი და ვურჩევდი უცოდინარეთ ქართული წერა-კითხვა შეესწავლათ, დღეს მოსვენებას არ მაძლევენ და მთხოვენ ქართულის წიგნების და გაზეთების შოვნას, ხოლო უვიცნი ძალას მატანენ ქართული გაზეთები წავუკითხო და გავაგებინო ქართველი ერის მდგომარეობა. ოცდა ექვსი ივლისის დღე ჩვენთვის, აჭარლებისათვის, დიდ დღესასწაულად დარჩება და ჩვენი ძმურის ქართველ ქრისტიანებთან განუწყვეტელ კავშირის აღდგენის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. ამის სახსოვრად ერთი ეროვნული, კულტურული დაწესებულება უნდა შემოვიღოთ, მაგრამ ოსმალოს მიერ დარბევისაგან დაწიოკებულებს ვერ მოგვიხერხებია ეხლად შევკრებეთ აჭარლები და ჩვენი გადაწყვეტილება ჩვენს მფარველ ძმებს ვამცნოთ.

ჩვენ, აჭარლები, ვუერთდებით გაზ. „საქართველოს“ გამოთქმულს აზრს და ვსთხოვთ ჩვენს წარმომადგენელს სახელმწიფო სათათბიროში აკაკი ჩხენკელს—ეროვნულის საკითხების გარჩევის დროს, ნუ დაგვივიწყებს ჩვენ, აჭარლებს, და ჩვენი ღვიძლი ძმა ქართველებთან ერთად განუყრელად მოითხოვოს ჩვენთვის კანონიერი, სამართლიანი ადამიანური უფლებანი.

აჭარელი მოლლა **ხაფიზ ეფენდი მეხეშიძე.**

1 აგვისტო 1915 წ. ს. ხულო.

## პასუხი უცნაურ წერილზე

ნიკო ნიკოლაძე იმდენად ცნობილი მოღვაწეა, რომ მას ყოველთვის უფლება აქვს **თავისი საკუთარი აზრი** გამოსთქვას იქ, საცა „სახალხოელთა“ გულნამცეცა პუბლიცისტები ქვეყანას აყრუებენ თავისი „შინაურული“ და შინაგანი სიყალბით და თაღლითობით,—გამოსთქვას აზრი [illegible] თავისი პასუხის მგებლო-[illegible] ამას არ იზიარებდეს არც „საქართველო“ და არც საქართველო. ნიკოლაძის წერილი თავისი ფორმით, რომლის გაგება სხვადასხვანაირად შეიძლება ისეთი მცირედი, არა პრინციპული შეცდომაა, რომელზედაც ბაასი, კამათი და მსჯელობა ათასწილად უფრო დიდი შეცდომაა, და ჩვენ არ გვიკვირს, რომ „სახალხოელთ“, რომელთათვისაც პარტიული ქიპი და ჩვენი „ჯობნა“ უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ნამდვილი გულშემატკივრობა ქვეყნისა,—მაშინვე ფეხი დაგვაჭირეს და გამოეკამათნენ ნიკოლაძეს; იმ ნიკოლაძეს, რომლისთვისაც ორიოდე ტყუპი წიხლი „სახალხოს“ წვრილფეხა შურს არასოდეს არ დაუშურებია. თვით საკამათო საგანზედ ლაპარაკი უბრალო შეჭრაა „ღია კარებში“, რადგან მკითხველმა კარგად იცის ჩვენი პრინციპული შეხედულება აჭარელთა საკითხზედ; ეს უკეთ იცის თვით „სახალხომაც“,

მაგრამ საყურადღებოა ის ავადმყოფური სიტყვიერება, რომელიც „სახალხომ“ გადმოანთხია ამის გამო თავის დამყაყებულ ჯულღმულიდან. აი დასტკბით:

ჩვენი „ნაციონალ-დემოკრატები“ დღითი დღე და თანდათან გვერდს იქცევენ. სხვის ზურგზედ მალაყის გადასვლა სწადიანთ, თვით კი ფიზიონომია ვერ გამოურკვევიათ ანა და უკედა ვსთქვათ, მშვენიერად გამოარკვიეს თავისი ფიზიონომია: ეს გახლავსთ დომხალი არეული „კლდის“ ნაფლეთებისა და „ზაკავკ. რეჩის“ სურნელოვანებისაგან. საკმარისია მათი ფიზიონომიისათვის ის, რომ „ზაკავკ. ზეჩის“ ფილიალურ განყოფილებად გაიხადა თავი და იმერეთში ამგვარ განყოფილებად „სამშობლო“ დაინიშნა. და „საქართველო“ ეხლა „ზაკავკ. რეჩი“-ს წერილების გამავრცელებლად გამოდის, ხოლო „ზაკ. რეჩი“ „საქართველოისა“.

ან კი რა უნდა იყოს გაზეთი. რომელსაც ერთად-ერთ მიზნად ფედერალისტებთან ბრძოლა გაუხდა: დავამარცხოთ ფედერალისტები, მათი ავლადიდება (!?) ხელში ჩავიგდოთ და აბა მაშინ გაყურებინებთ რა ბიჭებიც ვართო.

კი მაგრამ პოლიტიკურ მოპირდაპირესთან ბრძოლა შეიძლება არა ლანძღვა-თრევით, გიჟური ყვირილით და ჭიხვინით, არამედ საკუთარის პროგრამის გამომაშკარავებით და დაცვით...

რა[illegible] ეხება არსებით საკითხს, თუ [illegible] პროგრამა—ეს „სახა[illegible]“ კარგად იცის და ტყუილადა სცდილობს ჭუჭყიან სიტყვებში ჩაახრჩოს იგი, რომ თვითონ ამოტივტივდეს. ჩვენს ეროვნულ პოზიციებს ვერ აიღებთ ვერც სალანძღავ სიტყვების კორიანტელით და ვერც იმ მართლაც გასალანძღავ საქციელებით, რომელნიც მრავლად მოგეპოვებათ „პარტიაში“. თუ დაგავიწყდათ, გაიხსენეთ, თუნდ უკანასკნელი ამბები ბრწყინვალე პროცესი თქვენი დეპუტატისა, გაიხსენეთ კიტა აბაშიძის გამოსვლა შიმშილობის საკითხში, გაიხსენეთ თქვენი „ბრძოლა“ მარცხენა ხელით „ჟარგონის“ პრესასთან, რომელიც თქვენივე ფრაზეოლოგიით „შხამსა და ალკოგოლზე“ უარესია და მარჯვე[illegible] ბაქოში ამ „შხამისა და ალკოგოლის“ გასავრცელებლად. მოიგონეთ ათასი სხვაც და იქნება ისიც მოგაგონდეთ, თუ სწორედ თქვენი პარტიის ზოგიერთი წევრები რა აზრებს გამოსთქვამდნენ საკუთრად აჭარელთა შესახებ.

რ. გ.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

(შემდეგი)

**მარკოვი მეორე.** ორატორი ეხება ბარონ მეიენდორფის სიტყვას და აცხადებს, რომ კომისიის შექმნის მომხრე მემარჯვენებს ერთი კრინტიც არ დაუძრავთ ბალტიის ნაპირას მცხოვრებ ბარონების საქციელის შესახებ, იმ ბარონებისა, რომლებიც ორმაგ ქვეშევრდომობას აღიარებენ და წარმოადგენენ გერმანელთა ლაშქრის ავანგარდს. საჭიროა მათ წინააღმდეგ ბრძოლა. რაც შეეხება იმ საყვედურს თითქოს მემარჯვენენი გერმანიასთან მეგობრობის მომხრენი ყოფილიყვნენ, მარკოვი შემდეგ განმარტებას იძლევა: მემარჯვენეთ ერთის მხრით ის უნდოდათ, რომ გერმანიასთან თავის დრომდე არ ჩამოვარდნილიყო შუღლი და მტრობა, ხოლო მეორე მხრით მემარჯვენენი მოითხოვდენ ქვეყნის შეიარაღებას და იმასაც, რომ გერმანიიდან რუსული ოქრო გამოეზიდნათ, მემარცხენენი კრედიტს არ აძლევდნენ მთავრობას შეიარაღებისაოვის და ხმები მისცეს ჯარის კონტინგენტის გაძლიერების წინააღმდეგ.

**პოკოვსკი.** ორატორი აღნიშნავს რომ ხალხი ძალიან აღელდა როდესაც გაიგო რომ ჩვენი დამარცხების მიზეზი ჩვენივე მოუმზადებლობა იყო. ამომრჩევლებმაო—განაგრძო ორატორმა—უზენაეს მოვალეობად დაუსახა სათათბიროს წევრებს ყოველი ღონე ეღონოთ, რომ ჯარისთვის საომარი მასალა რაც შეიძლება მალე მიეწოდებინათ. მეორე დავალება ამომრჩევლებისა სათათბიროს წევრებისადმი ისაა რომ საომარ მასალის მხრივ ჯარის [illegible] კმაყოფილებას საქმეს მხოლოდ წმიდა სისხლის რუსები განაგებდენ. ორატორის სიტყვით რუსეთის გერმანელთა შორის ბევრია გულწრფელი და სრულიად კეთილგანწყობილი ადამიანი მაგრამ ხალხის დასამშვიდებლად საჭიროა ამ საქმის სათავეში წმიდა რუსები იდგნენ; ხოლო უცხო ტომისანი და განსაკუთრებით გერმანელები-კი უნდა აუცილებლად ჩამოვაშოროთ თავდაცვის საქმესო.

**მილიუკოვი.** ორატორმა საკითხი აღძრა, იმის შესახებ, თუ რა მიზანს უნდა ემსახუროს განზრახულმა კომისიამ მრეწველობის სფეროში. გერმანელთა გავლენის გაბათილება უფრო რთული საკითხია, ვიდრე ეს ჰგონია ბ-ნ ხვოსტოვსა და მის მომხრე ორატორებს. საქმე ისაა რომ გერმანია ნახევარ საუკუნით ადრე დაადგა მრეწველობას; ნახევარი საუკუნეა რაც მიწადმოქმედ ქვეყნიდან იგი მრეწველ ქვეყნად გადაიქცა და აქედან გაიზარდა მისი გავლენაც, ამიტომ საკმარისი არ არის გერმანიის ძალობის საკითხი წამოვაყენოთ უბრალოდ და მარტივად რომ რუსეთი მთელი ნახევარი საუკუნით წინ წავწიოთ. კომისიას ძალღონე არ შესწევს შეუდგეს უცხოეთის კაპიტალისაგან რუსეთის მრეწველობის განთავისუფლების, ფრიადი მნიშვნელობის საკითხს. რაც შეეხება სათათბიროს ტრიბუნიდან გამოცხადებულ პროტესტებს გერმანიის კულტურის გავლენის წინააღმდეგ, მილიუკოვის აზრით, საკუთარი ისტორიის წინააღმდეგ ბრძოლა იქნებაო. ამასთან მილიუკოვი მოაგონებს სათათბიროს წევრებს, რომ ასი წლის წინეთ, როდესაც რუსეთის პატრიოტიზმის აფეთქება ეხლანდელისაზე ნაკლები არ ყოფილა, არ გაულაშქრნიათ საფრანგეთის კულტურულ გავლენის წინააღმდეგ, რომელსაც მანამდე და მის შემდეგაც განვიცდით. მილიუკოვის აზრით წარსული რუსეთის ისტორიული კულტურისა ძირიან ფესვიანა შეიცვლებოდა, ხოლო მისი მომავალი გაცილებით უფრო ღარიბი იქნებოდა, რომ ყოველ ახალ მტერთან ომის გარდახდის შემდეგ, რუსები შესდგომოდენ იმ ქვეყნის კულტურულ გავლენის აღმოფხვრას, რომელსაც მისი მტრები ეკუთვნოდენ. ამიტომაც მილიუკოვის

## ტრაგიკული დღეები

VI

გერმანიის დიპლომატიის თაღლითობა, რომელიც 24-დან 28 ივლისამდე გაგრძელდა, მკაფიოდ გამოაშკარავდა. კრიზისის დადგომისას გერმანიის დიპლომატიამ მუქარის ტონი დაიჭირა, შემდეგ თითქოს დაუდევარი, და უყურადღებო გახდაო. ბოლოს, ცოტა ოპტიმიზმიც გამოიჩინა, მაგრამ ამავე დროს თვის პასიურ წინააღმდეგობის წყალობით ფუჭად ხდიდა ლონდონის, პარიზის და პეტროგრადის კაბინეტის ყოველ ცდასა და ყოველ წინადადებას, რომ საქმე მშვიდობიანათ დამთავრებულიყო.

ავსტრია-უნგრეთის შეთქმულობის მთავარ მონაწილეს ეტყობოდა, რომ მისთვის თავი და თავი დროს მოგება, და მოლაპარაკების გაჭიანურება იყო, რათა ავსტრია-უნგრეთის მოქმედება უფრო ჩქარად განვითარებულიყო, და სამთა შეთანხმება უკვე გამოუსწორებელ და აღსრულებულ ფაქტის წინაშე დაესვა: ბელგრადის აღებისა და სერბიელების დამორჩილების ფაქტის წინაშე. მაგრამ გარემოება არც ისე წავიდა, როგორც ამას მოელოდა ბერლინისა და ვენის კაბინეტი. ერთიცა და მეორეც საგონებელში ჩააგდო რუსეთის გაბედულმა და გადაჭრილმა საქციელმა. ავსტრიის ნაწილობრივ მობილიზაციას, რუსეთმა პასუხი გასცა სამხრეთის ოთხს სამხედრო ოლქში მყისვე მობილიზაციის მოხდენით. ბერლინის დიპლომატების სიტყვა-პასუხი მეხუთე დღეს, 28 ივლისს, საღამოთს შესამჩნევად მოლბა. გზა და გზა გავიხსენოთ ისიც, რომ 1913 წ., ბალკანეთის ომის დროსაც, ავსტრიამ და რუსეთმა მოახდინეს ნაწილობრივი მობილიზაცია, თუმცა მათ შორის არამც თუ ბრძოლა არ ატეხილა, არამედ საქმე იქამდისაც არ მისულა რომ ომის გამოცხადება შესაძლებელი გამხდარიყო. 26 ივლისს, საღამოს, ამბავი მოვიდა იმპერატორი ვილჰელმი ბერლინში ჩამოდისო. რას უნდა გამოეწვია ასეთი მოულოდნელი დაბრუნება იმპერატორისა? არა მგონი შევცდე თუ ვიტყვი, რომ ამ ამბის გაგონებაზე ყველას შიშიანობის მწვავე გრძნობამ დაუარა, იმასაც ვინც ამ დრამის აქტიური მომწყობი იყო, და იმასაც ვინც მისი უბრალო მაყურებელი იყო. გული ყველას მტკივნეულად შეგვეკუმშა და ყველამ ვიგრძენით რომ უკვე დადგა განსაცდელის წუთი და გადამწყვეტი მომენტი. ამ გვარივე სულიერი განცდა გამეფდა ვილჰელმ-შტრასეზე.

ბ-ნმა ციმერმანმა არ დაუმალა ბრიტანიის რწმუნებულს თავისი წუხილი იმის გამო რომ იმპერატორი ვილჰელმი სხვის დაუკითხავად ჩამობრუნდა.

პირველ ხანებში ჩვენი შიში თითქოს არ გამართლდაო. 28 ივლისმა გერმანიის შეუპოვარ ჯიუტობაში თვალსაჩინო ლმობიერება შეიტანა. იმპერიის კანცლერმა მოუწოდა წინადღით ჩამოსულ ინგლისის ელჩს და აუწყა რომ თუმც გერმანია მხარს ვერ დაუჭერდა ბ-ნ ედუარდ გრეის წინადადებას რომ ოთხ სახელმწიფოს კონფერენციას გადასცემოდა ატეხილი დავის მოგვარება, მაგრამ სამაგიეროთ გერმანია პატიოსან სიტყვას იძლეოდა რომ ყოველ ღონეს იხმარდა, რათა რუსეთსა და ავსტრიას შორის მეგობრული ურთიერთობა განმტკიცებულიყო და დავაც მეგობრულ კილოზე ეწარმოებინათ. „ომი უნდა ავაცდინოთ დიდ სახელმწიფოებსო“.—ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვა. შესაძლებელია, კანცლერი გულწრფელი მომხრე ყოფილიყო მშვიდობიანობის დაცვისა, შესაძლებელია ისიც, რომ მის პირველ ცდას, მოახლოვებულ საფრთხის წინაშე, გაეჭრა და ორმოცდარვა საათის განმავლობაში შეეკავებინა კიდეცა იმპერატორის სულწასულობა. იმპერატორ ვილჰელმის მიერ მეფე ნიკოლოზ მეორესადმი გაგზავნილი დეპეშა 28 ივლისის საღამოს თარიღით, ძალიან მეგობრულია და თითქმის საიმედოც. „იმ გულითადი მეგობრობის ხსოვნისათვის, რომელიც დიდი ხანია მჭიდროდ გვაკავშირებს ორთავეს, ყოველ ღონისძიებას ვიხმარ და არ დავზოგავ ჩემს გავლენას რომ ავსტრია-უნგრეთი დავიყოლიო რათა რუსეთთან დაიჭიროს ლოიალი და დამაკმაყოფილებელი შეთანხმებაო“.

როგორი ახსნა უნდა მივსცეთ იმ ცვლილებას, რომელიც მეორე დღეს ასე ერთბაშად მოხდა ბერლინში, ან უკედ პოტსდამში? როგორ უნდა ავხსნათ კანცლერის ის ახირებული სიტყვები, რომლებიც მან დახარჯა 29 ივლისს საღამოს ინგლისის ელჩთან ედ გოშენთან.

ამ ღამის დიალოგის საგნად ბეტმან-ჰოლვეგს გაეხადნა არა ის პირობები, რომლებიც ავსტრიამ წარუდგინა სერბიას, არც მოსალოდნელი ომი ავსტრიასა და რუსეთს შორის. ომის ქარიშხალის კერას ადგილი ერთბაშად გამოუცვლია. საფრთხეს ერთის სკუპით მთელი ევროპის სიგანე გადაუჭრია, და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთში გადასკუპულა. რისი გაგება სწადდა ბეტმან-ჰოლვეგს, რომელიც ჩამობრუნდა პოტსდამიდან, სადაც იმპერატორის თავმჯდომარეობით რჩევა იყო გამართული? ბეტმან-ჰოლვეგს სურს გაიგოს, დიდი ბრიტანია დაიცავს თუ არა არავისკენობას (ნეიტრალობა), თუ რომ გამარჯვების დროს, საფრანგეთის მიწა-წყლის მთლიანობას გერმანია ხელს არ შეახებსო.—„ეს კარგი, მაგრამ საფრანგეთის ახალშენების თაობაზე რას იტყვითო?“, შეეკითხა იმპერიის კანცლერს ბრიტანიის ელჩი. კანცლერმა გადაჭრით ვერა უთხრა რა—ამის შესახებ, ხოლო უყოყმანოდ განუცხადა, რომ გერმანია დაიცავდა ჰოლანდიის მთლიანობას და არავისკენობას (ნეიტრალობას). რაც შეეხება ბელგიას, გერმანიის მისადმი მოპყრობა დამოკიდებულია საფრანგეთზე და მის სამხედრო ოპერაციებზეო. შეიძლება რომ გერმანია იძულებული შეიქმნეს ბელგიის ტერიტორიაზე იბრძოლოს, ხოლო ომის შემდეგ ბელგიის მიწა-წყლის მთლიანობა აღდგენილი იქნება, თუ, რასაკვირველია, იგი აშკარად გერმანიის მტრების მხარეზე არ გადავაო. აი თუ რა სამარცხვინო ბაზრობა გამართა გერმანიამ ინგლისთან, მაშინ როდესაც ვერც ერთი დიდი სახელმწიფო ვერ ბედავდა გადაჭრით ეთქვა რაიმე, ევროპის ომის ატეხის შესახებ. ეს საუბარი პირდაპირი შედეგი იყო გადაწყვეტილი და გაბედული ნაბიჯისა, რომელიც იმავე დღეს გერმანიის დიპლომატიამ გადადგა პეტროგრადში. ამას ნათელ ჰყოფს სადიპლომატიო საბუთები, რომლებიც დაიბეჭდა მებრძოლ ქვეყნების განკარგულებით. ყველა ერთნაირად თანახმაა ამ საშინელ ეპიზოდის დაფასებაში. ამ დღეს საზონოვმა ორგზობა მიიღო გერმანიის ელჩი, რომელმაც მუქარით სავსე მოთხოვნა წარუდგინა. გრაფი პურტალესი დაჟინებით მოითხოვდა რომ რუსეთი დაკმაყოფილებულიყო ავსტრიის დაპირებით, რომ სერბიის მთლიანობა ხელშეუხებელი დარჩებოდა. საზონოვმა ეს წინადადება უარჰყო, რადგანაც სერბია მაშინ ვასალად გახდება და რუსეთში რევოლიუცია იფეთქებსო. გრაფი პურტალესი მოითხოვს რომ რუსეთმა ყური ათხოვოს ჯეროვანად გერმანეთის წინადადებას და თანაც აფრთხილებს რომ თუ რუსეთი არ შესწყვეტს თვის სამხედრო სამზადისს, გერმანეთი ჯარებს აამობილიზებს, ხოლო გერმანეთის ჯარების ამობილიზება-კი უეჭველი ომის მომასწავებელი იქნებაო. მეორე საუბარი, რომელიც დილის ორ საათზე ჰქონდათ გრაფ პურტალესსა და საზონოვს, თვის უარყოფითი შედეგით მხოლოდ განმეორება იყო პირველისა, მიუხედავათ იმისა, რომ საზონოვმა ყოველი ღონე იხმარა კატასტროფის ასაცდენად. გერმანიის მკვახე მუქარის წინაშე ქედის მოხრა რუსეთის უძლურების უტყუარი საბუთი იქნებოდა.

ასეთი შეურაცხმყოფელი და მიუღებელი წინადადების წარდგენა და, მაშასადამე, მთელი ამ ჯოჯოხეთის დატრიალება იმპერატორ ვილჰელმის კისერზე ძევს; მთელი პასუხისმგებლობა მიეკუთვნება პირადათ გერმანეთის იმპერატორს, რომელიც, ჩამობრუნდა თუ არა, თითონ ჩაება საერთაშორისო ურთიერთობის მოწესრიგებაში და მთელი მოლაპარაკება და მიწერ-მოწერა პირდაპირ მისი ბრძანებით სწარმოებდა. თანაც იგი განიცდიდა მთავარ შტაბისა და გენერლების ძლიერ ზედგავლენას. „ჯარის უფროსებიო—უთხრა ცოტა უფრო გვიან ბ-ნმა იაგოვმა ბ-ნ კამბონს—ყოველ გადაწყვეტილებისა და ყოველ ახსნა-განმარტების მიცემის დროს, თავიანთ შეხედულებას ახვევენ სხვებსაო“. რადგან იმპერიის კანცლერი, სახელმწიფოს მდივანი და მისი თანაშემწე უძლური აღმოჩნდენ, რომ უფრო მომრიგებელი და დამაყვავებელი ღონისძიება მიეღებინებინათ იმპერატორისა და მთავარ შტაბისათვის, იძულებული შეიქმნენ თითონ მიმხრობოდენ ამ სახიფათო საშუალებით მოქმედებას. აქ გასაკვირი არაფერია, მაგრამ ეჭვი არაა, რომ ეს მათი შეხედულების და სურვილის წინააღმდეგი იყო. თუ ეგონათ, რომ ამ გზით ისინი უფრო მალე მორჩებოდენ კრიზისს და ბოლოც მოეღებოდა მთელი ევროპის ნერვიულ მდგომარეობას, მწარედ შემცდარან,—ისე, როგორც თვით ბ-ნი პურტალესი, რომელმაც თავის მთავრობას შემცდარი აზრი მიაწოდა რუსეთის მეფის გადაწყვეტილების შესახებ, რომ იგი სერბიას მსხვერპლად ვერავის ვერ შესწირავდა. მწვავე მღელვარებამ მოიცვა ეს პატიოსანი ადამიანი, როდესაც სცნო თავის შეცდომის ფატალური შედეგები.

მაგრამ რა მდგომარეობაში იყო იმპერატორისა და მის გენერლების სულიერი განწყობილება ამ იშვიათ პსიხოლოგიურ მომენტის დროს? აბა ვის როდის ეცოდინება იგი დანამდვილებით? გაეხარდებოდათ კიდეც ბ-ნი საზონოვის პასუხი, რადგანაც მათ თვალში მხოლოდ სამხედრო ინტერესს ეჭირა პირველი და მთავარი ადგილი, ხოლო ამ თვალსაზრისით გერმანეთს არასოდეს არ დაუდგე-

აზრით, გერმანეთის ძალობის წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა იყოს ბრძოლა კულტურის წინააღმდეგ, რომლისათვისაც გერმანეთმა დიადი და კეთილი როლი ითამაშა. ხოლო გერმანეთის გავლენა რუსეთის სახელმწიფოებრიობაზე; მილიუკოვის აზრით, ყოველთვის არ იყო რუსეთისთვის სასარგებლო და რაც დრო გადიოდა მით უფრო მავნებელი და დამღუპველი იყო იგი მოვლენა. მაგრამ ამ სფეროშიც მილიუკოვი ყველაფერს ერთ ფერში ვერ ამოავლებდა, რადგანაც შინაური გერმანელები რუსეთის ხელმწიფების სამსახურში რუსეთისავე სიზოგადოებრიობის წინააღმდეგ საბრძოლველად მხოლოდ მე-XIX საუკუნეში შედის და ამ კარიერის სამაგიეროთ შინაური გერმანელები იღებს სასახლის წყალობას და ინარჩუნებს ადგილობრივ უპირატესობათ. აი ამ შინაური გერმანელის წინააღმდეგ ხალხი და კადეტთა ფრაქციაც სულით და გულით პროტესტს აცხადებს. მილიუკოვი ეხება გერმანიის ქვეშევრდომთა მდგომარეობას ამ ჟამად რუსეთში და ამბობს, რომ იგი ვერ შეიგუებს განსვენებულ მარტენსის დებულებას და ვერც უმაღლესი უქაზის დებულებას, რომელიც ოსმალეთთან ომის წინ გამოაქვეყნეს შესახებ მტარვალ ქვეყნების მოქალაქეთა, რომ ისინი რუსეთში დატოვებულნი ყოფილიყვნენ და განეგრძოთ თავიანთი მშვიდობიანი ხელობა.

დღევანდელი ბრძოლა იმ წესით მიმდინარეობას, რომელიც სრულიად არღვევს და აბათილებს დღემდის მიღებულ საერთაშორისო უფლების საძირკველს. მაგრამ მილიუკოვს მაინც ჰგონია, რომ რუსეთის ხელმწიფების შიში გერმანიის ყოველ შემძლე შპიონაჟის წინაშე ერთობ შორს წავიდა, და რომ ამაზედ კიდევ უფრო შორსაა წასული სათათბიროს ერთი ნაწილის შიში. მილიუკოვი პროტესტს აცხადებს მკაცრი ზომების ხმარების წინააღმდეგ მტარვალ სახელმწიფოთა ქვეშევრდომებისადმი, პროტესტს აცხადებს ეროვნული შეუწყნარებლობის წინააღმდეგ. მილიუკოვი ეხება გერმანელ კოლონისტების საკითხს და აცხადებს, რომ იგი განცვიფრებულია შინაგან საქმეთა მინისტრის შენიშვნით, რომ საჭიროა რუსეთის გერმანელების ასიმილაცია და უხერხულობას განიცდის, როცა მინისტრი აცხადებს, შტუნდისტები საშიშარი ხალხიაო. შინაგან საქმეთა მინისტრის ამ განცხადებაში მილიუკოვი ხედავს არა მარტო ეროვნებათა თანასწორ-უფლებიანობის შებღალვას, არამედ თვით სარწმუნოების შეწყნარებისასაც, რაიცა 17 ოქტომბერზე უფრო აღრე იყო აღიარებული და აღნიშნავს რა რომ ამ განცხადებას მოჰყვება შინაგან საქმეთა მინისტრის პრაქტიკაც, მილიუკოვი მოუწოდებს სათათბიროს ამ გარემოებას მიაქციოს სერიოზული ყურადღება. დასასრულ მილიუკოვი აცხადებს, რომ კადეტთა ფრაქცია ხმას მისცემს კომისიის შესადგენად, მაგრამ იმგვარ კომისიისა, რომელიც გაებრძოლება ტენდენციებს, ამ კომისიის დაარსების წამომყენებელნი რომ იჩენენ და რომელიც იბრძოლებს რუსის ხალხის უფლებისა, სამართლიანობისა და პატივისათვის. ამას გარდა მილიუკოვი წინადადებას იძლევა სხვა რამ სახელი უწოდონ რუსეთის უცხოეთელ ქვეშევრდომების წარმოშობას.

ბოდა ასეთი მარჯვე დრო რუსეთის დასამარცხებლად. მართლაც, 1917-ში რუსეთის ჯარის რეორგანიზაცია მოთავებული იქნებოდა, მისი არტილერიაც სისრულეში მოყვანილი, სასტრატეგიო რკინის გზათა ახალი ქსელი გაყვანილი, რაიცა რუსეთს შეძლებას მისცემდა ერთბაშად მიეყარა გერმანელთა ორთავე იმპერიისათვის ახალ-ახალი წყება გამოულეველი ჯარისა. და მიუხედავად თავის ტეხნიკური უპირატესობისა, რითაც თავი ასე მოაქვს გერმანეთს, ჩრდილოეთის დევთან ბრძოლა ასეთ პირობებში უთუოდ იმის გამარჯვებით გათავდებოდა, ვისაც მეტი ცოცხალი ძალა აღმოაჩნდებოდა. 1917 წლამდე სამი წლის სამხედრო ბეგარა თავის ნაყოფს სავსებით გამოიღებდა და საფრანგეთს მიანიჭებდა უფრო მრავალ რიცხოვან და კარგადაც გაწრთვნილ პირველ რიგის ჯარს.

იმპერატორ ვილჰელმს არ შეეძლო არ ჰქონოდა გათვალისწინებული შედეგები იმ დამცირებისა, რომელსაც ამ მოკლე ხანში ეს მეორედ მიაყენებდა რუსეთს. 1914 წელსაც რომ გაეჭრა იმპერატორის მუქარას, როგორც ამან გასჭრა 1909 წელს, ამით, რასაკვირველია, კონფლიქტი სამუდამოდ არ იქნებოდა აცილებული გერმანეთსა და რუსეთს შორის, არამედ მხოლოდ დროებით გადადებული. აბა როგორ აპატიებდა ან მეფე ან რუსის ხალხი გერმანეთის იმპერატორს მისგან ხელმეორედ მოყენებულ დამცირებას? ამ დამცირებას ჩუმათ თუ იმიტომ გადაყლაპავდა ერთიც და მეორეც, რომ სხვა, უფრო მოხერხებულ დროს შური ეძიათ; სახელდობრ მაშინ, როდესაც რუსეთს ყოველი ძალღონე მოკრეფილი ექნებოდა, ყველაფერში თადარიგი მიცემული, ერთი სიტყვით, მაშინ როდესაც გამარჯვების შანსები მის მხარეზე იქნებოდა სულერთიანა.

შეიძლება მომიგონ იმპერატორი ვილჰელმი დარწმუნებული იყო სასწორზედ მისი ხმლის წონა რუსეთის ყოყმანს გადმოხრიდა და თანაც იმედი ჰქონდა რომ

რომ რუსეთში რევოლიუცა იფეთქებდა, რომელიც

დიდი ხნით მაინც შეაჩერებდა რუსეთის მთავრობის მეომარ სულიერ განწობილებასო. ამაზედ მოვახსენებ რომ ასეთი მაკიაველისებური ანგარიში შეუძლებელია აზრად ჰქონიყო ისეთ პრინცს, როგორიც არის ვილჰელმი მეორე, რომელიც გაჟღენთილია მონარქიული სოლიდარობის გრძნობით და რომელიც აღვსილია ზიზღით ანტიდინასტური შეთქმულობისა და რევოლიუციისადმი.

არა! იმპერატორ ვილჰელს სურდა, ისე როგორც მის სამხედრო ავტორიტეტებს, რომელთა რჩევას ასე უგდებდა ყურს, რომ ესარგებლა იშვიათი გარემოებით, რომელსაც დიდის მოუთმენლობით უცდიდა და რომელიც, ხელიდან რომ გაეშვა, ვინ იცის როდის დაუდგებოდა კვლავ. ყველაფერი ამტკიცებს ამას, თვით ის აჩქარებული ბაზრობაც, რომელიც გამართა კაიზერმა ბრიტანიის ელჩთან ბრიტანიის არვისკენობის (ნეიტრალობისა მოსასყიდად, რა წამს გაიგო საზონოვის პასუხი. ამიტომაც იყო რომ ბეტვან-ჰოლვეგს ბრძანება მოუვიდა 29 ივლისს ღამით მოეწვია ბრიტანიის ელჩი. იმპერატორს მოთმინება არ ეყო მოეცადა მეორე დღემდე, ეგ ზომ იყო შეპყრობილი მოქმედების წყურვილით. ასეთი აჩქარება და დაშურება ნუ თუ ბედუკუღმართი საქციელი იყო ანგარიში მოტყუებული კაცისა და სხვა არაფერი? არა მგონია! რაც გინდ ძვირად დაჯდომოდა ვილჰელმის თავმოყვარეობას ის გარემოება რომ რუსეთი ვეღარ დააფრთხო და ვერ შეაშინა თავის მუქარით, იმპერატორს სხვა რამ გზა უნდა ეძებნა, სხვა უფრო მისაღები პირობები წარმოედგინა რათა საქმე მშვიდობიანად დამთავრებულიყო და ევროპა ეხსნა განსაცდელისგან და არა მიემართა ასეთ უკიდურეს ზომისათვის!

ს. ი—ა.

# ახალი ამბავი

**კრება.** ამით მოვაგონებთ ჩვენს მკითხველს და საზოგადო მოღვაწეთ, რომ 9 აგვისტოს კავკაზის სასტუმროში მოხდება კრება, სადაც უნდა მორიგება მოხდეს დიდი მემამულის თ-დ გიორგი ამილახვარის და ორას კომლ გლეხების წარმომადგენლების შორის. როგორც ვიცით, ამ საქმის გარშემო რვა-ცხრა წელიწადია დავიდარაბა სწარმოებს და ლამის არის თ-დ ამილახვარის მამული სრულიად უცხოს ხელში გადავიდეს. მოვალენი არიან ის ქართველი ინტელიგენტნი და პრესის წარმომადგენელნი, რომელნიც თ-დმა გიორგი ამილახვარმა გლეხებთან საქმის მოსაგვარებლად მიიწვია, საქმე სათანადოდ დაასრულონ და რამდენიმე ათასეული დესეტინა მამული გლეხებს შეუნარჩუნონ.

**„ახალი კლუბის“ საზამთრო თეატრი.** როგორც ვიცით, „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭომ გადასწყვიტა ზამთრისათვის მოაწყოს სცენა და დარბაზი წარმოდგენების გასამართავად. ეს გადაწყვეტილება კლუბის წევრთა საგანგებო კრებამ დაადასტურა და საკმაო თანხაც გადასდო. მამასახლისთა საბჭომ საგანგებო კომისიას მიანდო გასაწევე ხარჯების პროექტის შედგენა. 5 აგვისტოს მამასახლისთა საბჭოს, თავ. მ. დ. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდა, რომელზედაც მიწვეული იყვნენ ტეხნიკურ კომისიის წევრნი—ინჟინრები ქურდიანი მამრაძე და თავ. გ. ამირაჯიბი. კრებამ განიხილა ტეხნიკის მ. ხ. ლორენცენის მიერ შედგენილი პროექტი. ამ პროექტის მიხედვით, დამწვარ ქართული თეატრის გადაკეთება დაჯდება 19.083 მანეთი. კრებამ მოიწონა პროექტი და დაადგინა წარუდგინოს იგი ნების დასართავად გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალს. მამასახლისთა საბჭოს იმედი აქვს, რომ თეატრი ზამთრი სეზონისათვის მზად იქნება.

**არტისტთა მოწვევა.** „ახალი კლუბის“ ადმინისტრაციამ ზაფხულის სეზონამდე მიიწვია საიმპერატორო თეატრის არტისტი გომაშევიჩი, ხოლო ორ კონცერტზე მონაწილეობის მისაღებად—ცნობილი საოპერო არტისტი ქალი პასხალოვისა.

**კომისიის არჩევა.** 6 აგვისტოს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ აირჩია საგანგებო კომისია, რომელსაც დაავალა, თანახმად ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობის თხოვნისა, შეადგინოს სამეურნეო გეგმა ილია ჭავჭავაძისეულ საგურამოს მამულის ექსპლოატაციისა. კომისიაში შედიან: ს. ყაზახაშვილი, პ. მელია და ვ. რცხილაძე. წ.-კ. საზოგადოების მხრივ ერთი წევრი უნდა იქმნას მიწვეული კომისიაში.

**სამგლოვიარო დეპეშები.** კარლო ჩხეიძისა და აკაკი ჩხენკელისაგან სამგლოვიარო დეპეშა მოვიდა ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო. აგრეთვე სამგლოვიარო დეპეშა მოვიდა სოფ. ლიხაურის (გურია) საზოგადოებისაგან.

**კახეთის რკინის გზა.** საგანგებო კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა კახეთის რკინის გზის შემოწმება, უკვე შეასრულა მინდობილი საქმე: გზა დათვალიერებული და შემოწმებულია, ამის შესახებ ჟურნალი შესდგა და კომისიის თავმჯდომარე ინჟინერი ლანგოდა ამ დღეებში პეტროგრადს წავიდა. ამის შემდეგ ეს გზა უნდა გამოცხადებულ იქმნას საექსპლოატაციოდ, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, მინისტრის განკარგულებით გზის ნორმალი ტარიფი უნდა გამოქვეყნდეს. ამის გამო გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა გზათა მინისტრს დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც სთხოვს,—დააჩქარებინეთ კახეთის რკინის გზის ტარიფების გამოქვეყნება და ამით შეძლება მიეცით ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კუთხის მცხოვრებთ ისარგებლონ რკინის გზითო.

**საარჩევნო კრება.** 6 აგვისტოს თავ.-აზნაურთა საკრებულოში შესდგა კრება-თათბირი, რომელსაც უნდა დაესახელებინა კანდიდატი სამეურნეო ბანკის თავმჯდომარისა ნაცვლად თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილისა, დაესწრო 26 კაცი, მათ შორის გ. ჟურული (თავმჯდომარე), გ. ლასხიშვილი, გ. ყიფშიძე, ალ. ყიფშიძე, კ. მაყაშვილი, კ. თუმანიშვილი, ს. ბაქრაძე, ე. იოსელიანი, ვ. ბერელაშვილი, კ. მესხი, რ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე, მ. ჯანაშვილი და სხ. ორი საათის თათბირის შემდეგ კრებამ დაადგინა ეთხოვოს თავმჯდომარეობა ბანკისა ბ-ნ ვ. რ. ყიფიანს, ხოლო თუ მან თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა, თითქმის ერთხმად დაასახელა ბ-ნი ფილიპე გოგიჩაიშვილი.

**ახირებული აზრი.** დაბა ზუგდიდის ბოქაულმა ბრძანება გამოსცა, რომ ბაზარში დუქნების წინ და საზოგადო ადგილებში ქართული გაზეთი არ იკითხოთო. დიდად საინტერესოავ იცოდეთ, ეს ბრძნული განკარგულება თვით ბ. ბოქაულის ადმინისტრატიული ნიჭის ნაყოფია, თუ ზევიდან არის ნაკარნახევი.

(თან. აზრი).

ჟურნალ „ახალი მოამბის“ გამოცემა, როგორც გავიგეთ, უქაღალდობისა გამო გამოცხადებულ დროზე ვერ დაიწყება. რედაქცია ქაღალდს მიიღებს თუ არა, გამოცემასაც შეუდგება. დასაბეჭდი მასალები იმავე მისამართით უნდა ეგზავნებოდეს რედაქციას.

**სიმფონიური კონცერტი.** დღეს საღამოს „ახალ კლუბში“, ივ. პ. სარაჯიშვილის მონაწილეობით, სიმფონიურ ორკესტრის კონცერტი გაიმართება.

**უფასო საოჯახო საღამო-მეჯლისი.** შაბათს, 8 აგვისტოს ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება უფასო საოჯახო საღამო. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა. დასაწყისი 9 საათზე. მონაწილეობას მიიღებენ: ტ. აბაშიძე, ვ. გუნია, მგალობლიშვილი და სხვები.

**სურსათი.** 6 აგვისტოს მოტანილი იყო თბილისში: ფქვილი 26 ვაგ., სიმინდი 2 ვაგ., ქერი 7 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., მარილი 5 ვაგ., ხილი 2 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., მადნეული წყლები 1 ვაგ., ნავთი 2 ვაგ., ბრინჯი 119 ფუთი, კვერცხი 377 ფუთი, ქათამი 118 ფუთი, ახალი თევზი 249 ფუთი.

# ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გარშემო

## წერილი იმერეთიდან

დიდებული მგოსნის—აკაკის სიკვდილამდის,—ჩვენს მთის არწივს—ვაჟა-ფშაველას იმერეთის ფართო მასა და სოფლის წვრილი ინტელიგენცია ჯეროვანად ვერ იცნობდა. აკაკის სიკვდილის შემდეგ კი, ყველას ცნობის მოყვარეობა აღეძრა და იმის ძიებას შეუდგა, ამ დიდებული ადამიანის მაგიერობას ვინ გაუწევსო საქართველოს ერს. მჯვირცხლმა იმერელმა აკაკის მოადგილის ძებნა აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყო. ამ შემთხვევაში მისი ალღო არც მოტყუებულა. ჯერი პირდაპირ ჩვენ უსაყვარლეს მთის არწივს ვაჟა-ფშაველას ერგო. უწინ თუ მარტო იმერეთის ქალაქებსა და დაბებში ისმოდა ვაჟა-ფშაველას სახელი ამ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში—აკაკის სიკვდილის შემდეგ იშვიათად შეხვდებოდით იმერეთში იმისთანა მივარდნილ სოფელს, სადაც ვაჟას სახელი არ გაისმოდა. ყველანი იმედით ვიყავით აღვსილნი და დიდი აკაკის დანაკლისს მითი ვიქარვებდით, რომ მის ღირსეულ მოადგილეთ დიდებული პოემის „შვლის ნუკრის ნაამბობის“ შემთხზველი გვეგულებოდა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენი ტურფა და ლამაზი ქვეყნის მომღერალი, ჩვენი საყვარელი ვაჟა, ასე უცებ ხელიდგან გაგვისხლტებოდა და ჩვენ ობლად დავრჩებოდით?! ჩვენს იმედს კიდევ ის გარემოება უფრო აორკეცებდა, რომ ჩვენი მთების მეფე, ჯერ შედარებით, მოხუცებული არ იყო. მგოსნის მოულოდნელმა გარდაცვალების თავზარ-დამცემმა ამბავმა შავი ძაძით შემოსა საქართველოს სხვა ნაწილებთან ერთად იმერეთიც. სოფელი ჩარდალი, სადაც ჩვენი დიდება და მშვენება დაიბადა, და ფშავ-ხევსურეთი, ჩვენთვის, განსაკუთრებით ამიერიდან, სათაყვანებელი ადგილებია და სახელი „ვაჟა“ კი, ისეთივე მოწიწებით და სიყვარულით წარმოითქმის მთელს საქართველოში, როგორც „თამარ“, „შოთა“, „ილია“ და „აკაკი“.—

მ. ფარცხნალელი.

## ვაჟა-ფშაველას ხსოვნას

დიდებულო მგოსანო და უშიშარო რაინდო საქართველოს ქვეყნისავ! ღვთაებრივად ჟღერდა და გალობდა შენი ჩანგი გმირულ ფსალმუნ-საგალობლებს და გვინერგავდა გულსა და გონებაში თავდადებულ სიყვარულს სატრფო-სამშობლოსადმი და მედგრად ჩაგვლილინებდა:

ტანჯვით ცხოვრებამ ნუ, ნუ მოგიკლას
სამშობლოსადმი ტრფიალი! გასაკლდევებულს აზრითა
რას გიზამს შხამის ფიალი,
ზედმოხეთქება მეხისა,
თავზე ყვავ-ყორანთ ფრიალი?!.
იმატებს ტანჯვა? უწყიდე,
ტრფობა [illegible]
აიშლის [illegible]
სდგეს იალბუზის ქედადა...

შენ უგალობდი, ძვირფასო ვაჟავ, სამშობლოს:

ლოგინად ეკალს მიგებდე,
ზედა ვწვებოდე შიშველი,
გზაზედ მიფენდე, მაინცა
რაც შემიძლიან გიშველი:
უნდა დავადნო შენს ბედსა
თვალი და გული ფხიზელი...

ძვირფასო მგოსანო! შენ შეუდარებელის ხელოვნებით გვისურათხატებდი ტურფა ივერიის ბუნების უაღრეს მშვენიერებას და ბუმბერაზობას და გვინერგავდი გულში მღელვარე სიყვარულს ამ ბუნებისადმი. შენ გვისურათებდი არამც თუ ადამიანთა, არამედ ფრინველთა, ცხოველთა და ნადირთა სიცოცხლის სიამე-სიმწვავეს და მათს სულიერ მდგომარეობას ისე ცხოვლად და ნათლად, რომ იმათი ლხენით გვალხენდი და იმათი მწუხარებით მდულარებას გვაფრქვევიებდი თვალთაგან.

უგერგილო, უნებისყოფო, რწმენა გაუმტკიცებელ და მუდამ კომპრომისში მტოპავ ადამიანთა შორის ცხოვრება—ტრიალმა არ გაგიტეხა შენ, დიდებულო ქართველო, ფოლადი გული, არ შეგარიგა წამიერადაც კი ბოროტებასთან, პირიქით შენ გამოუცხადე ბოროტებას მედგარი, შეურიგებელი, ძლევამოსილი ომი და შეეკარი საუკუნო ზავით და სიყვარულით მხოლოდ სიმართლეს და მხოლოდ ღმერთს:

„დამსეტყვე ცაო, დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემი თავითა;
გულითა გაუტეხელი,
მოუღალავი მკლავითა.
რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შევეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვივებულის ავითა!“

სულმნათო მგოსანო! ყოველ შეგნებულ ქართველის გულში მუდამ ენთება განუქრობელად წმიდა სიყვარული შენის გენიისადმი და იგი, საქართველოს შვილი, ცხოვლად და ღმად დაიმჩნევს თვისს სულში შენს წმიდა, კეთილშობილ ფსალმუნებს და უმაღლეს იდეალებს—ლოზუნგებს განსახორციელებლად თანამედროვე ცხოვრებაში და გარდასაცემად სიმღერითა და მოქმედებითაც საშვილიშვილოდაც.

მღვდელი **ნიკ. ხევცურიანი.**
დ. ახალსენაკი.

—

**ს. ზედა-ილემი.** კვირას, 2 აგვისტოს ზედა-ილემის სამკითხველოს გამგეობის მეთაურობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი ვაჟა-ფშაველას სულის მოსახსენებლად. დაესწრო სამი სოფლის საზოგადოება: სოფ. ილმის, ბორის და იგორეთის. დილის ცხრა საათი იქნებოდა, რომ ხალხმა თავი მოიყარა და მოისმინა წირვა. წირვის გათავებამდი გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა მასწავლებელმა მღ. არჩილ გორგაძემ. წირვის შემდეგ გადახდილ იქნა პანაშვიდი, რის შემდეგ მოკლე სიტყვით გააცნო ხალხს ვაჟა-ფშაველა მღვ. ვ. გორგიძემ. ხალხი ეკლესიიდან დაღვრემილი გაემართა. ადგილობრივ სამკითხველოს დარბაზში, სადაც გადახდილ იქმნა პანაშვიდი. ამას შემდეგ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა სტ. ვასო გორგაძემ.

**ბესარიონ გორგაძე.**

—

**ს. კიცხი,** (შორაპნის მაზ.). 2 აგვიტოს, დიდებული მგოსნის, მთის არწივის—ვაჟა-ფშაველას დაკრძალვის დღეს, კიცხის წმინდა გიორგის ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი იქმნა გადახდილი მგოსნის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დაწყების წინ ადგილობრივმა მღვდელმა მიხეილ ბუაჩიძემ დაწვრილებით გააცნო საზოგადოებას ბიოგრაფია და ღვაწლი გარდაცვალებულისა. ხალხი ბლომად დაესწრო.

—

ჩვენს რედაქციას კვლავ მოდის სამძიმრის დეპეშები და წერილები ვაჟას გარდაცვალების გამო. უადგილობისა გამო აღვნიშნავთ მხოლოდ:

**ჭიათურა,** დომენტი ხიხაძე და ფილიმონ კიკნაძისაგან.

**ქიზიყი,** ა. ხევისპირელისაგან.

**ს. ნაოღალევი,** ვ. რამინიშვილისაგან.

**ს. ხონი,** ხიდისთველისაგან. იროდიონ ოქროაშვილისაგან. პ. ფრანგიშვილისაგან.

## სამგლოვიარო დეპეშები

**რუისი.** დავსტირით სამშობლოს საუკეთესო შვილის დაკარგვას, ინუგეშოს მრავალტანჯულმა საქართველომ: ილიას, აკაკის და ვაჟაფშაველას მშობელი ერი არ მოკვდება, იგი შეუდრკელად ესწრაფვის საუკეთესო მომავალს.

**არქიმანდრიტი ამბროსი, მღვდელმონაზონი მიქელი და ალექსანდრე ხელაია.**

---

**ართვინი,** შორს გადმოხვეწილებს ბრძოლის ველზედ მყოფთ თავზე დაგვატყდა ვით მეხი უდროვოდ მთების არწივის ვაჟა-ფშაველას დაკარგვა:

ლევან თაძიშვილი, ნიკო ციციშვილი, ძმანი მკერვალიშვილნი, ნიკო ციბაძე, მიხეილ სიონაიძე, შაქრო ბრეგვაძე, ვასო ადუაშვილი.

## კოვნოსთან

დღითი დღე გერმანელთა იერიშები კოვნოს გარშემო სასტიკ ხასიათს იღებს. როგორც სჩანს, ამბობს „უტ. რ." იგი მორიგი საკითხია გერმანელებისთვის. ვილნაში გასაჭრელად გერმანელებმა უსათუოდ კოვნოს უნდა შემოუარონ. კოვნოს საალყოდ გერმანელები დიდხანს ემზადებოდნენ. აგერ სამი თვეც იქნება, რაც მის გარშემო მუშაობდნენ. ციხის რაიონში გერმანელებმა ყოველგვარი მასალა მოიტანეს, რაც კი საალყოდ დასჭირდებოდათ. აგრეთვე მოიტანეს უდიდესი იარაღებიც. ციხის დასავლეთით მთელი რიგი თხრილებისა დაიმზადეს, აგრეთვე ნიადაგი მოამზადეს დიდ-დიდი ზარბაზნების დასადგმელად. მთელი მხარე მოჰფინეს სანგრებით, ორმოებით, ათასნაირი მავთულიანი ღობეებით. მეტი წილი ასეთი თხრილებისა ციხიდან 12—15 ვერსის სიშორეზე დაამზადეს. ყოველისფერი ეს მოწმობს გერმანელთა სიფრთხილეს, მათს მუყაითობას, დაუშრეტელ ენერგიას. თვითეული თხრილი სხვა თხრილებით არის ზურგ გამაგრებული განსაკუთრებული ბილიკებით, რომლითაც ჯავშნიან ავტომობილებს მოაქვთ სარჩარი მასალა და იარაღი... ყველა ამის დასამზადებლად გერმანელები იხმარებდნენ ლატიშებს, პოლონელ გლეხებს და დღე და ღამ თხრილებს აკეთებინებდნენ, ორმოებს, მთელ გორაკებს ადგმევინებდნენ... საინტერესოა, თუ გერმანელები როგორ ამზადებდნენ 42 სანტიმეტრიან ზარბაზნების დასადგმელ ადგილს. მუშებს ინჟინერთა ხელმძღვანელობით სხვა და სხვა ადგილას ორ საჟენ სიღრმის ორმოებს ათხრევინებდნენ. სიგრძე სიგანე თვითეული ორმოსი უდრის 5 საჟენს. ამათ ამოთხრის შემდეგ მუშები დათხოვნილ იქმნენ და გერმანელებიდან მოიწვიეს ამისთვის განსაკუთრებული ხელოსნები. ამასთანავე აუარებელი მატარებლით მოჰქონდათ ცემენტი, თვით ქვებიც კი. ყველაზე ხანგრძლივი ბეტონის დადებას ანდომებდნენ. გერმანელები ერთი პირის დადების შემდეგ აცლიდნენ გამომშრალიყო ბეტონი, რომ შემდეგ მეორე მიეყოლებინათ. მუშაობდნენ ნელა, მტკიცედ, კაპიტალურად. ქვებსა და ქვებს შუა მსხვილ რკინის ბოძებსა სდგავდნენ, რაზეც, უეჭველია, მიმაგრებული იქმნებოდა ეს უზარმაზარი ზარბაზნები. ამნაირად თვითეული ორმო ივსებოდა ბეტონის მასით. ამ მასის ზემო პირის ერთი ნაწილი იფარება ქვით, რაზეც აბამენ რკინის რგოლებს, ბოქლომებს, რაზებს და სხვა... ზარბაზნების დადგმა საიდუმლოდა ჰხდება. ამის გარდა გერმანელებმა სხვა და სხვა ადგილას, ციხის მახლობლად, მომცრო თხრილებიც გააკეთეს მორტირების დასადგმელად. მართალია მორტირების კალიბრი უფრო პატარაა, ვიდრე 42 სანტიმეტრიან ზარბაზნებისა, მაგრამ მათი შეხედულებაც უზარმაზარია. მათს გადასაზიდავად სადგურიდან განსაკუთრებული გზა გაიყვანეს. იგი მოფინეს ქვით, შემდეგ მოკირწყლეს, ადგილ-ადგილ ცემენტიც კი მოახმარეს. თვითეულ მორტირს მოათრევს სამ-სამი ლოკომობილი მსხვილ-მსხვილი ჯაჭვით. გადაზიდვა ჰხდება მეტად მძიმედ, საათში ნახევარ ვერსსაც ძლივს აკეთებენ. კარგა შორს მანძილზე გაისმის ხმაურობა, ჯაჭვების ჩხარა-ჩხური, თვლების ტკაცა-ტკუცი. ისე მოსჩანდა, თითქოს კბილებ ხრჭიალა საშინელი ვეშაპები მოცოცავენო... თვითეულ მორტირის თვალი უდრის $1\frac{1}{2}$ 2 ფუტს... ასეთი მორტირა ისვრის 25 ფუთიან ტყვიას.

25 ივლისიდან მოყოლებული აი ამ საზარელ ვეშაპებს უშენენ კოვნოს ციხეს... (ბ. ვ.)

## ვარშავაში

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტი მოგვითხრობს: როდესაც ვარშავაში მიველ, ჩვენი ჯარი სამი საათით ადრე იყო შესული ამ ქალაქში. ქუჩები სავსეა ხალხით: დარაჯებად ქალაქის მილიციონერები არიან. თუმცა წყლის პირად ჯერ კიდევ ისმის სროლა უკან დარჩენილ რუსის ჯარისა, მაგრამ უმთავრეს ქუჩებზედ ელექტრონის ტრამვაი მაინც უკვე მოძრაობს. უმეტესი წილი სავაჭრო და სამრეწველოებისა ღიაა. ქალაქი ცოტადაა დანგრეული.

ქვეითა ჯარის სათადარიგო დივიზია პირველი შევიდა ვარშავაში ღამის 3 საათზე; იგი ქალაქს სამხრეთიდან მიუახლოვდა. დასავლეთიდან შევიდნენ ბავარიის, საქსონიისა და ვიურტენბერგის ჯარები, რომლებმაც წინა დღით ცხარე ბრძოლა გაუწიეს რუსის უკანა ჯარს. ვარშავის უკანასკნელი პოზიციები რუსებმა ხუთშაბათს შუაღამის გადასვლის შემდეგ დასტოვეს.

---

„ლოკალ ანცაიგერ"-ის კორესპონდენტი სწერს: ვარშავის მცხოვრებლებმა დიდებული „შეხვედრა" გაგვიმართეს, სახლებზედ გერმანული დროშები იყო გამოკიდული; აუარებელი გლეხობა, მამაკაცნი და დედაკაცნი შეკრებილიყვნენ მოედანზედ თავიანთი ავლა-დიდებით. როცა გერმანელთა ჯარი შედიოდა, ეს ხალხი ქუდებს უხდიდა და მხიარულად ეგებებოდა მას.

---

ყურადღების ღირსია ბავარიის მეფის სიტყვა, რომლითაც მან თავის სატახტო ქალაქ მიუნხენში სასახლის აივნიდან ხალხს მიჰმართა. მან ჯერ მოკლედ მოიხსენა, რომ ბავარიის პრინცი ლეოპოლდი გერმანეთის მე-9 არმიას სარდლობს და შემდეგ განაგრძო: „ვარშავის აღებით ზავს მივუახლოვდით, მაგრამ მისგან ჩვენ მაინც შორსა ვართ, რადგან მთელ მსოფლიოსთან გვიხდება ბრძოლა. აღმოსავლეთით ჩვენი საქმე კარგად მიდის, დასავლეთით კი ჩვენ ჩვენზედ მრავალრიცხოვან ჯართანა გვაქვს საქმე. მიუხედავად ამისა მაინც ვერ შესძლეს ჩვენმა მტრებმა ჩვენი ფრონტის გარღვევა. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ აღმოსავლეთით გამარჯვების შემდეგ ჩვენ შეძლება მოგვეცემა ჯარი დასავლეთს მივაშველოთ და იქაც წინ წავიწიოთ. მხოლოდ ღმერთმა უწყის ზავი როდის ჩამოვარდება ამიტომ ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავეყრდნოთ ჩვენს ძალას და უდრეკ სულს და ისე უცადოთ ზავს".

შემდეგ მეფე იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ნამეტანი ბევრი მსხვერპლი შეიწირა ომმა და არ ევარგება ისეთი ზავის ჩამოგდება, რომელიც სავსებით ან დიდის ხნით მაინც არ უზრუნველ ჰყოფს გერმანეთს ახალ ომისაგან.

---

პოლონური „კურიერ პოზნანსკი" სწერს: მომავალი დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენად საჭიროდ დაინახავს გერმანეთის მთავრობა დაპირებათა განხორციელებას. მანამდის ჩვენ ძველს პოლიტიკას უნდა მივსდიოთ. ყველა ჩვენი მისწრაფება და აზრი იქ არის, საცა ძლიერდება და მრავლდება პოლონელ ერის ზნეობრივი და ქონებრივი ძალა; ხოლო ჩვენ ყველაფერს გადაჭრით უარსა ვყოფთ, რაც ჩვენს ერს ასუსტებს.

---

ბერლინის გაზეთები გვატყობინებენ, რომ ვარშავის აღების გამო გერმანეთის ყველა ქალაქებში, მაზხალებით დადიოდა ხალხი და ჰხარობდაო. ამ დღესასწაულში მონაწილეობას იღებდნენ მთავრობის წარმომადგენელნიც და ყველანაირი დაწესებულებანიც. ხოლო ორატორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ზავი ჯერ შორს არის და გერთმანეთს ამიტომ კიდევ მრავალი მსხვერპლის გაღება დასჭირდებაო.

---

იმპერატორმა ვილჰელმმა უმაღლეს სამხედრო ორდენით „პურლემერიტ"-ით დააჯილდოვა ბავარიის პრინცი ლეოპოლდი.

## დეპეშები

**პეტროგრადი,** 4 აგვისტო. ხელმწიფე იმპერატორმა შეიტყო, რომ დაჭრილთათვის ადგილი აღარა ჰყოფნისო და განკარგულება მოახდინა ლაზარეთად მოეწყოს საზამთრო სასახლეში ყველა ოთახები 2 დიდი დარბაზის გარდა.

**ათინა,** 5 აგვ. მეფემ ახალ კაბინეთის მოწვევა ვენეზილოსს დაავალა, საქმის გასაცნობად ვენეზილომ ოთხი დღე გამოითხოვა—მეფემაც თანხმობა გამოუცხადა.

**ნიში,** 4 აგვ. დიდძალ ხალხის თანადასწრებით გაიხსნა სკუპჩინა. ოპოზიციურ ლიბერალების ლიდერმა ველიკოვიჩმა შეკითხვა შეიტანა ოთხთა შეთანხმების მიერ გამოწვეულ მდგომარეობაზე. სკუპშინს თავჯდომარემ განაცხადა, რომ პაშიჩის კრაგუევაციდან დაბრუნების უმალვე დაინიშნება დახურული კრება, სადაც მთავრობა საგარეო პოლიტიკის განმარტებას წარმოგვიდგენსო.

**ვაშინგტონი,** 4 აგვ. დიდ ბრიტანიამ, საფრანგეთმა, რუსეთმა, იტალიამ და ბელგიამ ბამბა სამხედრო კონდრაბანდად აღიარეს, იაპონიის მდგომარეობა ამ შემთხვევაში გამოურკვეველია. შეიძლება მისი დახმარება ევროპის სახელმწიფოებს არ საჭიროებდეს, რადგანაც შორეულ აღმოსავლეთში გერმანიას ეხლა კოლონიები აღარ აქვს და ამისთვის ბლოკადასაც მნიშვნელობა ეკარგება. ბამბის სამხედრო კონდრაბანდათ აღიარება დამყარებულია საერთაშორისო უფლებაზე. მოსალოდნელია შეერთებულ შტატებმა პროტესტი გამოუცხადოს მოკავშირეებს, მაგრამ იგინი პასუხად წამოაყენებენ პრეზიდენტ ლინკოლნისა და ჯანსონის 2856 წლის ფორმალურ განცხადებას, რომლითაც სამხედრო იარაღების დასამზადებელი მასალები აღიარებული იყო, როგორც კონდრაბანდა.

**სოფია,** 4 აგვ. ბულგარეთში მცხოვრებ სომხებმა მოწოდებით მიმართეს ბულგარეთის ხალხს, სადაც აწერილია სომეხთა ტანჯვა. გამოქცეულთა დაუსრულებელი ქარავანი რუსეთის საზღვრებისკენ მიისწრაფის, რომ თავი დააღწიოს სიკვდილს და გაუპატიურებას. ოსმალებმა გადასწყვიტეს სომხები ამოჟლიტონ საკუთარ სამშობლოში. აგრეთვე გადასწყვიტა სტამბოლიდან 10,000 სომეხი მცირე აზიაში გადაასახლოს, ამ მიზეზით ბულგარეთში დიდძალი სომხობა გამორბის. მოწოდება ემუდარება ბულგარეთის მთავრობას ჩაერიოს ამ საქმეში, რადგანაც ოსმალებს ძალიან ეშინიათ ბულგარეთის გამოსვლისა. ბულგარეთს მხოლოდ პროტესტით შეუძლია ბოლო მოუღოს სომეხთა უმზგავს ჟლეტას.

დღეს სომხებმა სამგლოვიარო ლიტანია გამართეს. სომხების ყველა მაღაზია დაკეტილი იყო სოფიაში.

**ათინა,** 4 აგვ. მოკავშირეებმა გალიპოლზე რამდენიმე ადგილას გადასხეს დესანტი.

**ლონდონი,** 4 აგვ. ბეჭდვითი ბიურო აცხადებს, რომ შაბათს დილით მტერმა ეგეოსის ზღვაზე დაღუპა ბრიტანიის სატრანსპორტო გემი „როიალ ედვარდი". გემზე იყოფებოდა 320 ოფიცერი და 1350 ჯარისკაცი. დაწვრილებით ცნობები ჯერ არ მოსულა. დანამდვილებით იციან, რომ 600 კაცი გადარჩა.

**ნიუ-იორკი,** 4 აგვ. ბრონსვილიდან ცეხაში ატყობინებენ, რომ 100 მექსიკანელი რიო-გრანდეში გავიდა, დაეცა 21 ამერიკელ ცხენოსანს, ორი დასჭრა, ერთი მოკლა და მიიმალაო.

**ნიში,** 4 აგვ. სერბიის „პრეს-ბიურო" აცხადებს, 4 აგვისტოს მტერს მუშაობა შევაწყვეტინეთ პანჩეკო-სტარჩეკის გასწვრივ. სავას ფრონტზე ჩვენ გავფანტეთ მტრის რაზმი, რომელიც ცდილობდა ხორტკოვცასთან გამაგრებას.

**პარიზი,** 5 აგვისტო. ძლიერი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს არტუაში, შამპანში, აპრემონის ტყეში, ლუვიერში, ვოფერში და ლეპრეტის ტყეში კრუადნე შარომის რაიონში.

**პეტროგრადი,** 5 აგვ. წინასწარ მიღებულ ცნობებით ივლისის განმავლობაში შემნახველ კასაში შეუტანიათ 26,5 მილიონი მანეთი. საზოგადო ჯამი შეტანილ ფულებისა პირველ აგვისტომდე უდრიდა 2 მილიარდი 190 მილიონ მანეთს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგემ საკანონმდებლო დაწესებულებებში შეიტანა კანონ-პროექტი გამოქცეულთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თანახმად ფინანსთა და გზათა მინისტრების შეთანხმებისა გამოქცეულთ მიეცემათ უფასო ბილეთები იმ შემთხვევაში, თუ ისინი დანიშნულ ადგილას სამუშაოს ვერ იშოვიან და მოისურვებენ სადმე სხვაგან წასვლას.

**სოფია.** 5 აგვისტო, გერმანეთმა ამცნო ბულგარეთის სანაოსნო საზოგადოებას აუცილებელი საჭიროება გემების ეროვნულ ფერებად შეღებვისა, რათა ადვილი ეყო გერმანეთის სამხედრო გემებისათვის მათი შორიდან გარჩევა, საზოგადოებამ მაშინვე გასცა ბრძანება გემების გადაფერადებისა.

**სალონიკი** (სოლუნი), კუნძ. აიტილენიდან იტყობინებიან: სმირნაში 200 გერმანელი ოფიცერი ჩამოვიდა მრავალ ავსტრიელთა თანხლებით. აპირობენ დიდი ქარხნის აგებას სამხედრო სურსათის დასამზადებლად.

ინგლის-საფრანგეთის მფრინავები თავს დასცემიან კონსტანტინოპოლს და ყუმბარები ჩამოუყრიათ თოფხანაში. დაინგრა ყაზარმები, რამდენიმე კაცი მოკვდა და მრავალი დაშავდაო.

**პარიზი,** 5 აგვ. ლორდ კიტჩენერს და მილერანს თათბირი ჰქონდათ ჟოფრთან და ფრენჩთან სამხედრო საკითხების შესახებ ბარლედიუკში კიტჩენერის საპატივისმცემლოდ გამართულ სადილზე, მილერანმა სთქვა: „თვითონ მტერი არ ოცნებობს ეხლა რომ ის ჩვენ ჯარზე გაიმარჯვებს. ის უკვე ცდილობს მოლაპარაკებას ზავზე, მაგრამ საფრანგეთის ხალხს, პარლამენტს და მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მხოლოდ მაშინ დაჰყაროს იარაღი, როდესაც მტერი სრულიად განადგურებული იქნება. კიტჩენერმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც მან ნახა საფრანგეთის დიდებული ჯარი, მას გამარჯვების რწმენა გაუორკეცდა, ბოლოს დაუმატა, რომ ინგლისი ყოველ ღონეს მოიხმარს დაეხმაროს საფრანგეთს მისი მიზნის მისაღწევადო.

**ლონდონი,** 5 და 6 აგვისტო. გერმანელებმა დაჰღუპეს ინგლისელების გემი „ბონნი", ესპანელთა „იზიდორო" და ნორვეგების „მინერალ" და „რომულუს"-ი.

**სტოკჰოლმი,** 5 აგვისტო. ბელგია-ჰოლანდიის საზღვარზედ გერმანელებმა ეკლიანი მავთულის ღობე გაავლეს და შიგ ელექტრონის ძალა გაუშვეს. უკანასკნელ ხანებში [illegible] კაცი დაიღუპა, რომლებიც საზღვარზედ გადასვლას სცდილობდნენ.

**ლონდონი,** 5 აგვისტო. დარდანელის ნახევარ კუნძულის სამხრეთ ნაწილში ოსმალნი განაგრძობენ საარტილერიო ბრძოლას. ჩრდილოეთის მხარეზე 2 აგვისტოს ოსმალებმა ძლიერი იერიშები მიიტანეს ავსტრალიის ჯარებზედ, მაგრამ იერიშები მოგერიებული იქნა. ახალ ადგილას, სუვლეში გადასხმულმა ჯარმა წინ წაიწია 70 საჟენით დაიჭირა ოსმალების თხრილები და ტყვედ ჰქმნა 22 ჯარისკაცი.

**პარიზი,** 6 აგვ. ოფიციალი ცნობა, ნაშუადღევის 3 საათისა. დიდი გაცხოველება ეტყობა არტუის ყველა ფრონტზე. იერიშით ავიღეთ ბეტიუნ-არრასი და აბლენ-ანგრი, სადაც გერმანელთა პოზიციები ჩვენს მოწინავე ჯარში იყო შემოჭრილი. რამდენიმე მოწინააღმდეგის იერიში მოვიგერიეთ. ზერლ-ადენფერიის რაიონში ბრძოლა გრძელდება. უაზისა და ენის შუა არტილერიის დიდი ბრძოლა სწარმოებს. არგონასა და ფონტენოშარმის რაიონში და აგრეთვე მარიატერეზის რაიონში ჩვენმა არტილერიამ გერმანელთა ზარბაზნების სროლა ჩააჩუმა. ვოგეზასთან ლენჟეს მწვერვალზე გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. შრაცმენლთან გერმანელების თხრილი ავიღეთ და ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ტყვე.

**ტამბოვი,** 6 აგვ. ტამბოვის გუბერნიაში ასი ათასი გამოქცეული გამოემართა.

**ლონდონი,** 6 აგვისტო. წუხელ ღამით „ცეპელინების" ესკადრა თავს დაეცა აღმოსავლეთის საგრაფოებს და ყუმბარები ჩამოჰყარა. „ცეპელინებს" განსაკუთრებულ იარაღით ესროდნენ ყუმბარებს. ჰფიქრობენ, რომ ერთ-ერთი დაზიანდა. მოდარაჯე აეროპლანები იგერიებდნენ „ცეპელინებს" მაგრამ ამინდმა გასაპარად „ცეპელინებს" ხელი შეუწყო.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

---

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 | ს. 13 | წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 | „ 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 8 | „ 58 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 | „ 06 | „ | „ |
| ივრიდან . . . . | 21 | „ 15 | „ | „ |
| საგარეჯოდან . . . | 11 | „ 58 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 | „ 56 | „ | „ |
| ელაანიდან . . . | 2 | ს. 16 | წ. | სად. |
| გურჯაანიდან . . . | 3 | „ 37 | „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 | „ 12 | „ | „ |
| წნორის-წყალზე . . . | 4 | „ 44 | „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 | ს. 42 | წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 | „ 33 | „ | „ |
| თელავში . . . . | 5 | „ 27 | „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 | ს. 58 | წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . . | 9 | „ 41 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 | „ 24 | „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 | „ 39 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 | „ 59 | „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 | „ 80 | „ | „ |
| ივრიდან . . . . | 2 | „ 50 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 | „ 55 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 | „ 58 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ . | 5 | „ 13 | „ | „ |
| თბილისში, . . . | 5 | „ 28 | „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 | ს. 54 | წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 2 | „ 58 | „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 | „ 07 | „ | „ |

---

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 ბაქოდან . . . | 12 ს. 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან . . | 5 ს. 55 წ. | სად. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. | სად. |
| № 10 ბათომიდან. . | 9 ს. 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან. . | 6 ს. 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან . | 7 ს. 25 წ. | დილ |
| „ საგარ. | 10 ს. 28 წ. | სად. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. 3 წ. | სად. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ . . | 8 ს. 53 წ. | სად. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. 23 წ. | სად. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. | დღ. |
| „ სააგარ. | 8 ს. 28 წ. | დილ. |


# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


მსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.